



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 256/ს
07/06/2023

256-21-4-202306071705



ქ. გურჯაანში, კარდენახის ქ. №4-ში, შპს „აგროუბანის“ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „აგროუბანის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. გურჯაანში, კარდენახის ქ. №4-ში, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „აგროუბანს“ ქ. გურჯაანში, კარდენახის ქ. №4-ში, კომპანიის კუთვნილ 5431 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 51.01.59.318) არსებულ 3 შენობა-ნაგებობაში დაგეგმილი აქვს პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-567908, Y-4622232; X-567964, Y-4622258; X-567947, Y-4622298; X-567964, Y-4622305; X-567950, Y-4622336, X-567878, Y-4622307. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 280 მეტრით. საწარმოს აღმოსავლეთით ემიჯნება შპს „აგროპლასტიკის“ (ს/კ: 51.01.59.319) პლასტმასის ნაკეთობების დამამზადებელი ობიექტი. საპროექტო საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 80 მეტრში განთავსებულია კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 2 ხელოვნური ტბორით, ხოლო 240 მეტრში მიედინება მდ. ახტალისხევი. საპროექტო ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 70 და 160 მეტრში მდებარეობს შპს „აისის“, ხოლო 150 მეტრში შპს „იმედი დიდუბეს“ საწარმოები, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე განთავსებულ №1 შენობაში (906.6 მ²) მოეწყობა ნარჩენების აღდგენის საწარმო, №2 შენობაში (123.4 მ²) - ოფისი, ხოლო №3 შენობა (11.1 მ²) განკუთვნილი იქნება ინვენტარის შესანახად. ობიექტზე დაგეგმილია წელიწადში 2864.4 ტონა პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების (კოდი 15 01 02 - პლასტმასის შესაფუთი მასალა) გადამამუშავება და გრანულების მიღება, რისთვისაც №1 შენობაში განთავსდება 2 ცალი აგლომერატი (წარმადობა 350 კგ/სთ და 600 კგ/სთ), ერთი ცალი გრანულატორი (წარმადობა 350 კგ/სთ), გამრეცხი ავზი, სეპარატორი,

საწური შნეკი, შემრევი ბუნკერი, ელევატორი და სილოსი. საწარმო იმუშავებს წელიწადში 341 დღე, დღე-ღამეში 24 საათი და დასაქმდება 25 ადამიანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნარჩენების აღდგენის საწარმოში, შემდგომი გადამუშავების მიზნით, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების შემოტანა განხორციელდება ნარჩენების შემგროვებელი კომპანიებისაგან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, სატვირთო ავტომობილების საშუალებით. ობიექტზე შემოტანილი ნარჩენები დასაწყობდება სასაწყობო მოედანზე, საიდანაც მუშა პერსონალის მეშვეობით ჩაიტვირთება ელევატორში და შემდეგ გადაინაცვლებს აგლომერატში. აგლომერატიდან დაქუცმაცებული ნარჩენები გადავა გამრეცხ ავზში, სადაც მოხდება ნარჩენების წყლით დამუშავება. გარეცხილი ნარჩენები გადაინაცვლებს სეპარატორში, საიდანაც გადავა საწურ შნეკში, ნარჩენებისა და წყლის გასაცალკეებლად. აღნიშნულის შემდგომ, ნედლეული კვლავ მიეწოდება აგლომერატორს დასაქუცმაცებლად, საიდანაც დაქუცმაცებული ნარჩენები გადავა გრანულატორში, გრანულებად ფორმირებისთვის. მიღებული მასა, გაცივების შემდგომ, დაიჭრება სასურველ ზომებად. ნარჩენების აღდგენის შედეგად წარმოებული პროდუქცია ჩაიტვირთება ტომრებში, შემდგომი რეალიზაციისათვის. დოკუმენტში მოცემული აღდგენის ოპერაციის კოდები (R12 და R13) სრულად არ შეესაბამება დაგეგმილ საქმიანობას, შესაბამისად, დასაზუსტებელია ნარჩენების აღდგენის კოდი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით. ობიექტის სასმელი წყლით მომარაგება განხორციელდება ბუტილირებულად, ხოლო ტექნიკური დანიშნულების (ნარჩენების გარეცხვა, ნედლეულის გაცივება) წყლისთვის განთავსდება 18 ტ მოცულობის რეზერვუარი, რომელიც შეივსება, პერიოდულად, ავტოცისტერნის საშუალებით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებისთვის მოეწყობა საასენიზაციო ორმო, რომლის დაცლა განხორციელდება, საჭიროებისამებრ, ასენიზაციის მანქანებით, ხელშეკრულების საფუძველზე. დოკუმენტის მიხედვით, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე, ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან, წყლის გარკვეული რაოდენობა, ნარჩენების გარეცხვისას იკარგება, ხოლო ნედლეულის გაცივებისას ორთქლდება. ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად, ობიექტზე ნარჩენების რეცხვა განხორციელდება მეტალის გამრეცხ ავზში (მოცულობა 10 ტ), რომლის წყლით შევსება მოხდება ყოველკვირეულად 1 ტონა წყლის დამატებით. ნედლეულის გაცივებისას აორთქლებული წყლის რაოდენობა, წლის განმავლობაში იქნება 20 ტონა. საწარმოში წლის განმავლობაში ტექნიკური დანიშნულებით გამოყენებული იქნება დაახლოებით 82 ტონა წყალი. სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით, წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების (მათ შორის, გამრეცხ ავზში ნედლეულის გასარეცხად და საწურ შნეკში ნარჩენებისა და წყლის განცალკეების შემდგომ წარმოქმნილი წყალი) შესახებ ინფორმაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენები, ასევე, ნედლეულის რეცხვის პროცესში წარმოქმნილი ქვიშისა და ქვის ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. დოკუმენტში მოცემული არ არის

ნარჩენების გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების (წყალი და სხვა.) კოდების, დასახელებების და რაოდენობების შესახებ ინფორმაცია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირების ეტაპზე, ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით, ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. საწარმოს ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს პოლიმერული მტვერი, ნახშირჟანგი და ძმარმჟავა. დაგეგმილი საქმიანობის წარმადობისა (2864.4 ტონა) და უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის (280 მ) გათვალისწინებით, მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები, რომლებიც განთავსდება კაპიტალურ შენობა-ნაგებობაში. დოკუმენტის თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის დონე არ გადააჭარბებს 80 დბა-ს, თუმცა, მოცემული არ არის ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტის შესახებ ინფორმაცია, ასევე, „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის გათვალისწინებით, საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ობიექტს აღმოსავლეთით ემიჯნება შპს „აგროპლასტიკის“ საწარმო, სადაც ხორციელდება პლასტმასის ნაკეთობების დამზადება. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 70 და 160 მეტრში მდებარეობს შპს „აისის“, ხოლო 150 მეტრში შპს „იმედი დიდუბეს“ საწარმოები, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამატებით შესწავლას და შეფასებას საჭიროებს არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო საწარმო არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ნარჩენების აღდგენა განხორციელდება ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში არსებულ კაპიტალურ შენობაში. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მიწის სამუშაოების განხორციელებას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას და მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაიგზავნა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.


სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის წარმადობისა და შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, მოსალოდნელია რომ საწარმოს ექსპლუატაცია დაკავშირებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას. ამასთან, დოკუმენტში დასაზუსტებელია დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. გურჯაანში, კარდენახის ქ. №4-ში, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „აგროუზანი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აგროუზანს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აგროუზანის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

